

## ცნობები არსებითი ფაქტის (მოვლენის) შესახებ

ცნობები სს „თელასის“ აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებების შესახებ

სააქციო საზოგადოება „თელასი“ გაცნობებთ, რომ შედგა საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ოქმი შედგენილ იქნა 2017 წლის 30 მარტს.

ჩატარების ფორმა:	ერთობლივი დასწრება
ჩატარების ადგილი:	თბილისი, ვანის ქ. 3.
ჩატარების თარიღი:	2017 წლის 30 მარტი
ჩატარების დრო:	09სთ. 30 წთ.
საერთო კრების კვორუმი:	ხმის უფლების მქონე აქციათა 75,12836%

აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგი:

საკითხი 1. საზოგადოების გასული წლების გამოუყენებელი მოგების განაწილების შესახებ;  
საკითხი 2. საზოგადოების გასული წლების გამოუყენებელი მოგებიდან დივიდენდების გადახდის (გამოცხადების) შესახებ.  
საკითხი 3. დივიდენდების სააღრიცხვო თარიღის და დივიდენდების გადახდის დაწყების თარიღის განსაზღვრის შესახებ.

საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები:

I. დღის წესრიგის პირველ საკითხზე:

გადაწყვეტილების პროექტი:

საზოგადოების გასული წლების გამოუყენებელი მოგება განაწილდეს შემდეგნაირად:

ათასი ლარი

გასული წლების გაუნაწილებელი წმინდა მოგება	32 480
სარეზერვო ფონდი	0
დივიდენდები	20 000
საინვესტიციო საქმიანობა	0
გასული წლების ზარალის დაფარვა	0
გაუნაწილებელი მოგების ნაშთი	12 480

კენჭისყრის შედეგები:

„მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციათა 100%; „წინააღმდეგი“: „0“. „თავი შეიკავა“: „0“.

გადაწყვეტილება მიღებულია.

II. დღის წესრიგის მეორე საკითხზე:

საზოგადოების გასული წლების გამოუყენებელი წმინდა მოგებიდან საზოგადოების ჩვეულებრივ აქციებზე გადახდილ იქნას დივიდენდები ფულადი ფორმით 20 000 000 (ოცი მილიონი) ლარის ოდენობით, მათი გადახდის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 60 (სამოცი) დღის განმავლობაში.

კენჭისყრის შედეგები:

„მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციათა 100%; „წინააღმდეგი“: „0“. „თავი შეიკავა“: „0“.

გადაწყვეტილება მიღებულია.

III. დღის წესრიგის მესამე საკითხზე:

დივიდენდების სააღრიცხვო თარიღად განისაზღვროს 2017 წლის 10 აპრილი, დივიდენდების გადახდის დაწყების თარიღად განისაზღვროს 2017 წლის 25 აპრილი.

კენჭისყრის შედეგები:

„მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციათა 100%; „წინააღმდეგი“: „0“. „თავი შეიკავა“: „0“.

გადაწყვეტილება მიღებულია.

სს „თელასი“-ს  
გენერალური დირექტორი



ს.კობცევი